

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
2004 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი უ ი

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში არის რვა სამეცნიერო და ერთი არასამეცნიერო (სამეცნიერო ინფორმაციის) განყოფილება: ალგებრის, გეომეტრია-ტოპოლოგიის, მათემატიკური ანალიზის, დიფერენციალური განტოლებების, მათემატიკური ფიზიკის, დრეკადობის მათემატიკური თეორიის, თეორიული ფიზიკის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის, სამეცნიერო ინფორმაციის.

2004 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ინსტიტუტში ირიცხება 68 მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 40 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (4 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი) და 39 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. გარდა ამისა, ინსტიტუტში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს 32 მეცნიერი თანამშრომელი.

ინსტიტუტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2004 წლის გეგმის მიხედვით მუშავდებოდა 16 სამეცნიერო თემა. 2004 წელს დასრულდა მუშაობა 5 თემაზე, მათ ნაცვლად წარმოდგენილია 4 ახალი თემა. დანარჩენ 11 თემაზე მუშაობის გაგრძელება გათვალისწინებულია შემდეგი წლისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით ინსტიტუტში 2004 წელს მუშავდებოდა 14 სამეცნიერო თემა. მათზე მუშაობის გაგრძელება გათვალისწინებულია 2005 წლისათვის.

2004 წელს ინსტიტუტში მუშავდებოდა აგრეთვე უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო თემები.

1. ძირითადი სამეცნიერო შედეგების მოკლე დახასიათება

1.1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2004 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები

მათემატიკური ანალიზი

დადგენილია არაცალმხრივი ერგოდული მაქსიმალური ფუნქციის ერთადერთობის თეორემა [136].

განზოგადებულია მახასიათებელი ფუნქციების კლასიკური ჰილბერტის გარდაქმნის განაწილების ფუნქციისათვის ზუსტი ტოლობა ერთპარამეტრიანი დინების მაქსიმალური ჰილბერტის გარდაქმნისათვის [137].

განზოგადებული პოტენციალებისათვის დადგენილია კვალის უტოლობა ცვლადმაჩვენებლიან ლე-ბეგის სივრცეებში [34].

დადგენილია, რომ კვადრატში არსებობს ისეთი თვლადი სიმრავლე, რომ თუ ამ სიმრავლეზე რადე-მახერის მწკრივი ნულისკენ კრებადია, მაშინ ამ მწკრივის ყველა კოეფიციენტი ნულის ტოლია [201].

დადგენილია, რომ თუ დადებითი ფუნქცია არ ეკუთვნის ზიგმუნდის კლასს, მაშინ მისი ერგოდული ჰილბერტის გარდაქმნა არაინტეგრებადია [138].

დადგენილია პუასონის ინტეგრალის სასაზღვრო მნიშვნელობების უწყვეტობის აუცილებელი და საკმარისი პირობა. გამოკვლეულია ფუნქციის გრადიენტის უწყვეტობასა და ძლიერი გრადიენტის სასრულობას შორის მიმართება [1,33].

შესწავლილია დირინლეს სასაზღვრო ამოცანა ჰარმონიულ ფუნქციათა სმირონოვის კლასში ისეთი ორადბმული არეებისათვის, რომლებიც შემოსაზღვრული არიან გარკვეული კლასის უბან-უბან ლია-პუნოვის წირებით [76].

კოშის სინგულარული ინტეგრალისათვის მიღებულია წონების შესახებ ჰელსონ-სეგეს თეორემის განზოგადება ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცეებისათვის [173,174].

ანალიზურ ფუნქციათა სმირონოვის კლასების ანალიზიურად შემოღებულია ჰარმონიულ ფუნქციათა გარკვეული კლასები და მათში შესწავლილია შერეული სასაზღვრო ამოცანა ლიაპუნოვის წირით შემოსაზღვრული არისათვის [74].

ზედა ნახევარსბრტყეში ჰარმონიულ ფუნქციათა გარკვეული კლასისათვის გამოკვლეულია დახრილწარმოებულობის სასაზღვრო ამოცანა, როცა მიმართულების განმსაზღვრელი ფუნქცია არის ზომადი შემოსაზღვრული ფუნქცია [199].

დიფერენციალური განტოლებები

ზუსტად იქნა აღწერილი კლასები მაღალი რიგის ძლიერად სინგულარული წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისა (ე. ი. ისეთი განტოლებებისა, რომელთა კოეფიციენტების სინგულარობების რიგი განსაზღვრული შუალედის საზღვრით წერტილებში განტოლების რიგზე არანაკლებია), რომელთათვისაც ორწერტილოვანი და მრავალწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანები ფრედჰოლმურია. ნაჩვენები იქნა, რომ ფრედჰოლმურ სინგულარულ ამოცანათა ამონახსნები მდგრადია განსაზღვრული დიფერენციალური განტოლებების ინტეგრალურად მცირე შეშფოთებების მიმართ და ნაპოვნი იქნა აღნიშნულ ამოცანათა ცალსახად ამოხსნადობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები. ეს უკანასკნელი შედეგები ახალია რეგულარული, ე. ი. ინტეგრებადკოეფიციენტებიანი განტოლებებისთვისაც [3,104].

მაღალი რიგის წრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის დამტკიცებულია ზოგადი წრფივი სასაზღვრო ამოცანის ფრედჰოლმურობა [151] და ლასოტა-ოპიალის ტიპის თეორემა პერიოდული სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობის შესახებ [152].

მაღალი რიგის არაწრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის, რომელთა მარჯვენა მხარეებს გააჩნიათ წრფივი მინორანტები, ნაპოვნია წესიერი ამონახსნების რეკვალიზაციის საკმარისი პირობები, რომლებიც გარკვეული აზრით ოპტიმალურია როგორც გადახრილარეკვალიზაციის და ინტეგრალ-დიფერენციალური განტოლებებისათვის, ასევე ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისთვისაც. წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების შემთხვევაში აღნიშნული შედეგი წარმოადგენს ვ. კონდრატიევის ცნობილი თეორემის არსებით განზოგადობას [89].

ხარისხოვანი არაწრფივობის შემცველი მრავალგანზომილებიანი ტალღის განტოლებისათვის შესწავლილია კოშის მახასიათებელი ამოცანის გლობალურად ამოხსნადობის საკითხი კონუსურ არეში [65].

სამგანზომილებიან სივრცეში განხილულია ჯერადმახასიათებლებიანი ზოგადი სახის მაღალი რიგის დომინირებული უმცროსწევრებიანი წრფივი ჰიპერბოლური განტოლებები. დადგენილია რიმაინის ფუნქციის არსებობა და ამ უკანასკნელის დახმარებით მიღებულია გურსას ამოცანის ინტეგრალური წარმოდგენა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ამოცანების ამოსახსნელად [156].

ორგანზომილებიანი მეორე რიგის ელიფსური განტოლებისათვის შესწავლილია შერეული სასაზღვრო ამოცანა ინტეგრალური პირობით, როცა საზღვრის ნაწილზე დირიხლეს პირობებია მოცემული. დამტკიცებულია სუსტი ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ამოცანა წარმოადგენს დირიხლეს სასაზღვრო ამოცანის განზოგადობას [117].

შესწავლილია ჩებიშევის პოლინომების აგების მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გარკვეული ტიპის ცალკეული გამოთვლითი ამოცანების გადასაწყვეტად. დადგენილია ამ მოძრაობათა ერთი კლასისათვის მდგრადობის საკმარისი პირობები, წარმოდგენილია გეომეტრიული ინტერპრეტაცია [126].

მათემატიკური ფიზიკა და დრეკადობის მათემატიკური თეორია

დამტკიცებულია სივრცულად ერთგვაროვანი ე.წ. მოუჭრელი გულის მქონე ბოლცმანის განტოლებების ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა ლებეგის წონიან სივრცეებში, როდესაც საწყისი მასა, იმპულსი და ენერგია სასრულია. ამონახსნის ერთადერთობის დამტკიცება იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გადაუჭრელი პრობლემა სივრცულად ერთგვაროვანი მოუჭრელი გულის მქონე ბოლცმანის განტოლებებისთვის (მოჭრილი გულისთვის ერთადერთობა დამტკიცებული იქნა 1972 წელს ლ. არკერიდის მიერ) [131,132].

შესწავლილია შერეული (დირიხლე-ნეიმანის ტიპის) სასაზღვრო ამოცანა ცვლადკოეფიციენტიანი ლაპლასის ოპერატორისთვის. ეს ამოცანა ექვივალენტურად დაყვანილია გარკვეული არასტანდარტული ტიპის ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე, რომელიც შეიცავს როგორც არეზე განსაზღვრულ ინტეგრალურ ოპერატორს, ასევე ამ არის საზღვრის ნაწილზე განსაზღვრულ ფსევდოდიფერენციალურ ოპერატორებს. დამტკიცებულია მიღებული სისტემის ცალსახად ამოხსნადობა სობოლევის სივრცეებში და მიღებულია ამონახსნის ასიმპტოტიკა სასაზღვრო მონაცემთა ტიპის შეცვლის წირის მიდამოში [130].

მეორე რიგის კერძოწარმოებულიანი ელიფსური ვარიაციული უტოლობებისთვის გამოკვლეულ იქნა განსხვავებული ტიპის “ამონახსნის მონოტონურობის საკითხი”. კერძოდ, არაცხადწინალობიანი ვარიაციული (კვაზივარიაციული) უტოლობების ამოხსნადობის საკითხი გამოკვლეულია მონოტონურობის მეთოდით იმ შემთხვევაში, როცა წინალობა არ არის მონოტონური ჩვეულებრივი (ე.ი. H^1 -ის) აზრით [143].

განხილულია უბნობრივ ერთგვაროვანი სიბრტყის გამყოფი წრფის გასწვრივ სწორხაზოვანი ბზარის გავრცელების ანტიბრტყეული ამოცანა [111].

განხილულია ცილინდრულთან მახლობელი წინასწარ დაძაბული ბრუნვითი გარსების რნევის პრობლემები. შესწავლილია ამოცანათა ფართო კლასი სხვადასხვა სასაზღვრო პირობებისათვის, სხვადასხვა დაძაბული მდგომარეობისათვის, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გაუსური სიმრუდის გარსებისათვის [90].

გამოკვლეულია ფილტრაციის თეორიის ორგანზომილებიანი ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი სტაციონარული ამოცანები მათი ამონხნის ეფექტური მეთოდების დამუშავების თვალსაზრისით. აგებულია განტოლებათა სისტემა და ნაპოვნია ამ სისტემის ამონახნის მოძებნის ალგორითმი. მოძებნილია საზღვრის უცნობი უბნები [103].

შესწავლილია ორ მბრუნავ ნებისმიერ სასრულ მანძილზე დაშორებულ ცილინდრს შორის ბლანტი უკუშეხვის სითხის მდგრადობის ნეიტრალური მრუდები, როდესაც დინებაზე მოქმედებს ტრანსვერსალური წნევის გრადიენტი. არაბლანტი სითხისათვის დადგენილია მდგრადობისა და არამდგრადობის საკმარისი პირობები [98].

ალგებრა და ტოპოლოგია

ნებისმიერი რგოლისათვის დამტკიცებულია მილნორის K-ფუნქტორის იზომორფიზმი ელემენტარული ჯგუფის მეორე ექვივარიანტულ ჰომოლოგიასთან მთელ რიცხვთა რგოლის სტაინბერგის ჯგუფის მოქმედების მიმართ; გარდა ამისა, აიგო ექვივარიანტული ალგებრული K-თეორია ექვივარიანტული კომუტატორების გამოყენებით [153].

დამტკიცებულია, რომ ფრედჰოლმის მოდულების კატეგორიის ალგებრული და ტოპოლოგიური K-თეორიები იზომორფულია კასპაროვის KK-თეორიის, განხილულია mod q შემთხვევაც [62,159].

მოცემულია კოჰომოლოგიური აღწერა ჯგუფების გაფართოებებისა აბელის ჯგუფების ნახევრადმსერების საშუალებით. გამოიყო თავის თავზე მოქმედი ჯგუფების კატეგორია და დამტკიცდა, რომ ადრე აგებულ ფუნქტორს თავისუფალი ობიექტები ამ კატეგორიიდან გადაჰყავს თავისუფალ ლაიბნიცის ალგებრებში; გარდა ამისა, აგებულია და შესწავლილია არაკომუტაციური ლაიბნიც-პუასონის ალგებრები და მათი კოჰომოლოგიები [31].

შემოტანილია მეორადი წარმოებული ფუნქტორები. ნაჩვენებია, რომ სუსტად ექვივალენტური Z-კატეგორიები იძლევიან იზომორფულ მეორად წარმოებულ ფუნქტორებს. დამტკიცებულია, რომ ადამსის სპექტრული მიმდევრობის E_3 წევრი მოიცავს მეორადი წარმოებული ფუნქტორებით და აგებულია ამ წევრის გამოთვლის ალგორითმი [113,114].

დამტკიცებულია, რომ ტორული მრავალწილობის მაღალი K-ჯგუფების ყველა არატრივიალური ელემენტი ნულდება ფრობენიუსის ტიპის ენდომორფიზმების იტერაციებით [49,150].

დადგენილია კავშირი მონოიდურ კატეგორიათა თეორიასა და ნახევრად პირდაპირ ნამრავლთა თეორიას შორის; ნახევრად აბელური კატეგორიის ობიექტის შინაგანი მოქმედებები შესწავლილია როგორც მონოიდური კატეგორიის მონოიდის მოქმედებათა კერძო შემთხვევა და დადგენილია ამ მოქმედებათა წარმოდგენადობის აუცილებელი და საკმარისი პირობა [123].

გამოკვლეულია სამეულის არსებობის საკითხი ჯგარედინა n-კუბების კატეგორიაში; ჰომოტოპიის (n+1)-ტიპების ჰომოლოგია არსებული კოსამეულის მიმართ არის შესწავლილი და აღწერილია როგორც ჰოფმის ტიპის ფორმულები [127].

გამოკვლეულია ფუნქტორთა კატეგორიებში ჰომოლოგიური ალგებრის ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან პოლინომურ ფუნქტორთა თეორიასთან და განხილულია ამ თეორიის გამოყენებები წარმოდგენათა თეორიაში, ჰომოტოპიის თეორიასა და ალგებრულ K-თეორიაში [2].

დადგენილია მოდალური სისტემა (wK4), რომლის ძირითადი მოდალური ოპერატორი ადეკვატურად აღწერს ტოპოლოგიური ზღვრის ოპერატორის თვისებებს; დამტკიცებულია ამ მოდალური სისტემის ტოპოლოგიური სისრულე. ნაპოვნია სავსებით დაყვანადი (ჰაუსდორფის აზრით) ტოპოლოგიური სივრცეების ეკვაციური (equational) დახასიათება ზღვრის ოპერატორის ტერმინებში [14,38].

დადგენილია აქსიომატური დახასიათება ქვემაქსიმალური (ბურბაკის აზრით) სივრცეებისა და დამტკიცებულია მოდალური სისტემების K4.Grz, K4.Grz.1, K4.Grz.g ტოპოლოგიური სისრულე [119].

დამტკიცებულია ტოპოლოგიის სისრულის თეორემა. დადგენილია მოდალური ლოგიკის გიბრიდული სისტემების ძირითადი მახასიათებლები [15].

აღწერილია ელემენტარული ტოპოსის ახალი თვისება ისეთი, რომ გეომეტრიული მორფიზმი წარმოადგენს სრულ განვრცობას (complete spread) ბუნგე-ფანკის აზრით მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ის არის განვრცობა და აკმაყოფილებს ამ ახალ თვისებას [25].

განმარტებულია აბელის ჯგუფის სტრუქტურა მეორე წინააღმდეგობის ფუნქტორში სტაბილურ განზომილებებში [115].

აგებულია მგრეს კოჯაჭვთა თეორია სტინროდის 1-ნამრავლებისათვის და მოცემულია მისი გამოყენებანი ჰონშილდისა და სივრცის კოჯაჭვთა კომპლექსებში [158].

პერმუტაციების დიაგონალის საშუალებით მოცემულია გამრავლების ფორმულა ორმაგ ბარ კონსტრუქციაში [97].

მიღებულია ტრანსფერის ფორმულები ციკლური და სიმეტრიული ჯგუფების შესაბამისი დაფარვებისთვის ჩერნის კლასებისთვის [6].

მიღებულია ობერსტის ორადობის ვერსია. ეს ორადობა აკავშირებს ერთმანეთთან სასრულად წარმოქმნილ პოლინომურ მოდულებსა და კერძოწარმოებულებიან (და სხვაობიან) განტოლებათა ამონახსნების სივრცეებს [91].

G2 და F4 ტიპის ლის მარტივი სუპერალგებრებისათვის მიღებულია კარგ გრადუირებათა კლასიფიკაცია [134].

დამუშავებულია ადრე მიღებული სივანტურული ფორმულების ახალი გამოყენებები. კერძოდ, მიღებულია ცხადი ფორმულები კონფიგურაციული სივრცეების ეილერის მანახსიათებლისათვის და შემუშავებულია მრავალგანზომილებიან ნაშთთა გამოყენებები პოლინომიური სისტემების ფესვთა რაოდენობის დასათვლელად [43,66-68].

ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა

განხილულია უწყვეტი მრავალგანზომილებიანი სემიმარტინგალი და დასმული და გამოკვლეულია ინოვაციის პრობლემა ამ ზოგად შემთხვევაში. მიღებულია ინოვაციური პროცესის არსებობის ზოგადი პირობები. შედეგები მიყენებულია მათემატიკური ფინანსების ინფორმაციული მოდელირების პრობლემისადმი. განხილულია ნაწილობრივ დაკვირვებადი მრავალგანზომილებიანი სემიმარტინგალი. აგებულია ფინანსური ვალდებულების მაქვირებელი სტრატეგია და მიღებულია ფასის ფორმულა [101].

მინიმალური ენტროპიის მარტინგალური ზომის სიმკვრივე გამოსახულია შესაბამისი ოპტიმიზაციური პრობლემის ფასის პროცესის ტერმინებში და ნაჩვენებია, რომ ეს ფასის პროცესი განისაზღვრება როგორც შებრუნებული სემიმარტინგალური განტოლების ერთადერთი ამონახსნი. განხილულია კერძო შემთხვევები, რომლებიც უშვებენ ამონახსნის ცხადი სახით ამოწერის შესაძლებლობას [92].

დამტკიცებულია ექსპონენციალური მარტინგალური განტოლების ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა. ამონახსნი გამოიყენება ფინანსური ვალდებულების ფასდადებისა და ჰეჯირების პრობლემასთან დაკავშირებული გარკვეული მარტინგალური ზომების დასახასიათებლად [189,190].

მიღებულია ახალი სახის ენერგეტიკული შეფასებები მრავალგანზომილებიანი დაბრკოლების ამოცანებისათვის სტოქასტური ანალიზის ტექნიკით. შედეგების გამოყვანისას არსებითად გამოყენებულია სნელის მომვლეთათვის ადრე მიღებული სტოქასტური აპრიორული უტოლობები და აგრეთვე კავშირი გაჩერების ამოცანებსა და ვარიაციულ უტოლობებს შორის [99].

დადგენილია სიმკვრივის ლოკალური თეორემების ექვივალენტობა ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი ვექტორების ზრდადი აწონილი ჯამების ნორმირების ორი ჩერნისათვის. დაზუსტებულია ტოლი საშუალოებისა და მუდმივი მამრავლით განსხვავებული კოვარიაციის მატრიცების მქონე მრავალგანზომილებიანი ნორმალურ განაწილებათა შორის ვარიაციული მანძილის შეფასება [100,183].

მოცემულია მეთოდი, რომელიც "სტოქასტურად არაგლუვი" ვინერის ფუნქციონალების სტოქასტურ ინტეგრალად ცხადი სახით წარმოდგენის საშუალებას იძლევა [198].

შემოტანილია პირობითი ბინომური პროცესი, რომელიც შედგენილია ჯამების წრფივ ფუნქციონალებად წარმოდგენის საშუალებას იძლევა, რაც მონერნებულია აღრიცხვისათვის. შესწავლილია ამ პროცესების უპირობო და მარტინგალური თვისებები [102].

ატომბირთვისა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა; ველის კვანტური თეორია; კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა

განხილულია ჰოლის 2-შირიანი კვანტური სისტემა $\nu=2$ შემთხვევაში და შესწავლილია ძირითადი მდგომარეობის საკითხი. ანალიზი ჩატარებულია ტუნელური ურთიერთქმედების, ზემანის ურთიერთქმედებისა და შრეებსზე მოდებული ძაბვის ზოგადი შემთხვევისათვის. წარმოდგენილია არსებული ექსპერიმენტული მონაცემების ინტერპრეტაციის მცდელობა მიღებული ანალიზური შედეგების საფუძველზე. მწირი ექსპერიმენტული მონაცემების გამო, იდენტიფიკაცია საკმაოდ რთულია, მაგრამ ე.წ. "canted" ფაზის არსებობა მაინც რეალურ მოვლენად იკვეთება [139].

აგებულ იქნა ასიმპტოტური ველების პუასონური ალგებრა და მისი შესაბამისი კვანტური გაცვლითი ალგებრა ლიუვილის თეორიაში. ეს ალგებრები საშუალებას იძლევა გამოითვალოს ლიუვილის ველის არათანადროული კომუტატორი, რომელიც მიზეზობრივი და ლოკალურია. ამის გარდა, გაცვლითი ალგებრის გამოყენებით მიიღება არაპერტურბატული განტოლება ლიუვილის S-მატრიცისთვის. ჩატარებულია ამ განტოლების ანალიზი [58].

განხილულ იქნა ნაწილაკის დინამიკა 1+1 განზომილებიან სივრცეზე. ჰამილტონური რედუქციით მიღებული სისტემა დაკვანტული იქნა გეომეტრიული მეთოდით. აგებულ იქნა თეორიის იზომეტრიის ჯგუფის შესაბამისი კოჰერენტული მდგომარეობები და აგრეთვე ის კოჰერენტული მდგომარეობები, რომლებიც პარამეტრიზდება სივრცე-დროის წერტილებით. გამოთვლილ იქნა მატრიცული ელემენტები ასეთ კოჰერენტულ მდგომარეობებს შორის. ამ გამოთვლების საფუძველზე შემოთავაზებულ იქნა პროპაგატორის გამოთვლის წესი, რომელიც ითვალისწინებს ინტეგრებას კოჰერენტული მდგომარეობებით. მიღებული შედეგი ემთხვევა ველის თეორიის პროპაგატორს [59].

AdS ნაწილაკის დინამიკის შესწავლისას ნაპოვნი იქნა კანონიკური ცვლადები და კანონიკური დაკვანტვით აგებული იქნა ინვარიანტობის ჯგუფის უნიტარული, დაუყვანადი წარმოდგენები. ნაპოვნი იქნა ამ წარმოდგენების უნიტარული წევარი, რომელიც ემთხვევა ველის თეორიიდან მიღებულ შედეგს. უმასო ნაწილაკის დაკვანტვისას მიღებული იქნა კვანტური მასური პარამეტრის ფიქსირებული მნიშვნელობა, რომელიც ასევე ემთხვევა ველის თეორიაში მიღებულ ინვარიანტულ მასას [57].

შესწავლილია ყალბი ვაკუუმის დაშლის ალბათობის ერთ-მარყუჟიანი შესწორებები [5]. განვითარებულია შესაბამისი დეტერმინანტების დათვლის კომპინირებული ანალიზურ-რიცხვითი მეთოდი. ნაჩვენებია, რომ კვანტური შესწორებები მცირდება, როცა ვცდილებით თხელ კედლებთან მიახლოვებას.

შესწავლილია კლასიკური ამოხსნები აინშტაინ-იანგ-მილსის თეორიაში უარყოფითი კოსმოლოგიური მუდმივით. განხილულია მათი სტაბილურობა და ნაჩვენებია [20], რომ არსებობს პარამეტრების არეები არასტაბილური მოდების ნებისმიერი რიცხვით (0,1,2, ...), ანუ სტაბილური (მონოპოლის ტიპის), ერთი უარყოფითი მოდით (სფალერონული ტიპის) და ა.შ.

მაგნიტური ველის არსებობა ადრთან სამყაროში იწვევს რელიქტური გამოსხივების პოლარიზაციის მობრუნებას (ე.წ. ფარადეის მობრუნება). [5]-ში დადგენილია სუსტი მაგნიტური ველის გავლენა რელიქტური გამოსხივების პარამეტრებზე. განხილულია შესაბამისი სიგნალის დეტექტირების შესაძლებლობა [181].

გამოთვლილია ვორტექსული ობერატორის ულტრაიისფერი ყოფაქცევა ჰიგსის დინამიური ველის არსებობის პირობებში. განხილულია როგორც 2+1 განზომილებიანი კვანტური ელექტროდინამიკა, ასევე ჯორჯი-გლეშოუს მოდელი. დადგენილია, რომ 1-მარყუჟიან მიახლოებაში კედ-ს შემთხვევაში ჰიგსის ველი იწვევს პროპაგატორში ხარისხოვან შესწორებებს. ჟ-გ მოდელის შემთხვევაში ჰიგსის ველი მიერთებულ წარმოდგენაში არ ახდენს გავლენას ვორტექსის პროპაგატორზე [78].

ჩატარებულია ყალიბური თეორიების ჰამილტონური ასპექტებისა და ყალიბურად ინვარიანტული ცვლადების მიმოხილვა. არა-აბელური ყალიბური თეორიის ფორმულირება ყალიბურად ინვარიანტული ცვლადების ტერმინებში მოცემულია SU(2) იანგ-მილსის თეორიის შემთხვევისათვის [77].

გამოკვლეულია იანგ-მილსის განტოლებები კომპაქტურ ნახევრად-მარტივი ლის ჯგუფის მრავალსახეობაზე. ნაჩვენებია, რომ სასრული ქმედების შესაბამისი ამონახსნები ჩაიწერება მაურერ-კარტანის 1-ფორმის სახით. ამ და სხვა შედეგებზე დაყრდნობით დადგენილია იანგ-მილსის განტოლებების ამოხსნა SU(3)-ის ჯგუფურ მრავალსახეობისათვის ეილერის განზოგადებული კუთხების ტერმინებში [147].

აგებულია ველის კვანტური თეორია სასრული სიმკვრივეებისათვის და ტემპერატურასთვის, რომლის საწყისი პირობები სინათლის ფრონტზეა მოცემული. ასეთი თეორია საგრძნობლად ამარტივებს ამოცანებს ტრადიციულ მიდგომასთან შედარებით და იმედის მომცემია ზოგი გადაუწყვეტელი ამოცანების ამოხსნაში [16]. ასევე ნაჩვენებია ნულ-სიბრტყისა და ტრადიციული თეორიების ექვივალენტობა სასრულ სიმკვრივეებსა და ტემპერატურებზე [17].

გამოთვლილია მეორადი დამუნტული ადრონების მრავლობითობითი განაწილება კასკადურ-კლასტერულ მოდელში რელატივისტური ბირთვების დაჯახებისათვის. შედეგები შედარებულია ექსპერიმენტულ მონაცემებთან, რომლებიც მიღებულია დუბნის ამჩქარებელზე [145].

შესწავლილია არაკომუტაციური პუასონის სტრუქტურის გეომეტრიული, ალგებრული და ჰომოლოგიური თვისებები. შემოტანილია არაკომუტაციური ბოტის ბმულობის ცნება დაფურცლულ არაკომუტაციურ მრავალსახეობაზე და შემუშავებულია გადაგვარებული არაკომუტაციური პუასონის სტრუქტურის რედუქციის მეთოდი. შემოღებულია კაზიმირის განზოგადებული ფუნქციის ცნება სინგულარული პუასონის სტრუქტურისათვის და ნაჩვენებია მათი სივრცის იზომორფულობა პუასონის ნულოვანი რიგის კოჰომოლოგიებთან [44].

შემოღებულია და აღწერილია ბოტის ბმულობა არა მარტო რეგულარული, არამედ სინგულარული არაკომპუტაციური მრავალწილობისათვის [44,45]. შესწავლილია არაკომპუტაციური პუასონის სტრუქტურა ვექტორული ფიბრაციის ენდომორფიზმების ალგებრის შემთხვევაში. ჩამოყალიბებულია ასეთი სტრუქტურების ოჯახის სრული აღწერა; აგრეთვე არაკომპუტაციური მრავალწილობისა და ფაქტორმრავალწილობის სრული აღწერა [45,46].

შესწავლილია კავშირები ლის ჯგუფებზე და ჰომოგენურ სივრცეებზე გეომეტრიული მართვის თეორიასა და კვანტურ გამოთვლებს შორის. გეომეტრიული მართვის თეორიაში ცნობილი მიღწევადობისა და მართვადობის კრიტერიუმების გამოყენებით შემუშავებულია კვანტური გამოთვლებისათვის საჭირო აგების მეთოდი [148].

განხილულია არა-ნეტერისეული სიმეტრიების საკითხი ინტეგრებად მოდელებში [28].

შემოთხების თეორიის მაღალ რიგებში (დაწყებული მე-3 რიგიდან) შემოთავაზებული და გამოკვლეულია ახალი წარმოდგენა მწკრივის სახით რენორმ-ჯგუფის განტოლების ამონახსნებისათვის [186,187]. მწკრივი შესწავლილია დიფერენციალური განტოლებების ანალიზური თეორიის მეთოდებით. დადგინდა, რომ მწკრივი კრებადია შემოთხების თეორიის ნებისმიერად მაღალ რიგში [186]. ნაჩვენებია, რომ მწკრივის კრებადობის სინქარე დიდია და მწკრივის რამოდენიმე პირველი წევრი პრაქტიკულად ზუსტ შედეგს იძლევა მთელ იმპულსურ ინტეგრალზე. გამოყენების თვალსაზრისით მიღებული ამონახსნები ეფექტურია როგორც სტანდარტული, ისე ანალიზური შემოთხების თეორიის მიდგომებისთვის [187].

1.2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით შესრულებული სამუშაოები

პროექტი № 1.1.04 – უწყვეტ ტანთა მექანიკის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი და საკონტაქტო ამოცანები, ფაქტორიზაციის ამოცანები და მათი გამოყენება

შესწავლილია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ამოცანა, როდესაც საზღვრის უცნობი ნაწილი იმყოფება პლასტიკურ მდგომარეობაში და პლასტიკური ზონა სხეულში არ გრცელდება.

ორთოტროპული ფირფიტისათვის ნახევრადუსასრულო დრეკადი ჩართვების შემთხვევაში საკონტაქტო ამოცანები ამოხსნილია ეფექტურად ანალიზურ ფუნქციითა თეორიის მეთოდების გამოყენებით.

გამოკვლეულია დინამიკური მდგრადობის ამოცანები ისეთი გარსებისათვის, რომლებზედაც მოქმედებენ მერიდიანული ძალები და ნორმალური დატვირთვები, დამოკიდებულნი დროზე პარაბოლური კანონით. დადგინდა დინამიკური არამდგრადობის არეები, სადაც ამონახსნები შემოუსაზღვრელია.

აგებულია ძაბვისა და გადაადგილების ველის ელემენტების კომპლექსური წარმოდგენები ორი ანალიზური ფუნქციის საშუალებით განზოგადოებული ბრტყელი დაძაბული მდგომარეობის პირობებში, როცა პუასონის კოეფიციენტი იცვლება სპეციალური კანონით.

ნაჩვენებია სპექტრალური ფაქტორიზაციის ადრე მიღებული ალგორითმის უპირატესობები პოლინომური მატრიც-ფუნქციებისათვის.

ამოხსნილია ფილტრაციის თეორიის ორგანზომილებიანი ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი სტაციონარული კონკრეტული ამოცანები მიწის კაშხალში ფილტრაციის შესახებ.

პროექტი № 1.2.04 – სივრცეებისა და ფიბრაციების ახალი ალგებრული მოდელები და მათი გამოყენებანი ჰომოტოპიურ ამოცანებში

ფორმულირებულია მეორე წინააღმდეგობასთან დაკავშირებული საკლასიფიკაციო თეორემები წინააღმდეგობის ფუნქტორის ტერმინებში. ნაჩვენებია, რომ ამ ფუნქტორის მაკლასიფიცირებელი სივრცეა შესაბამისი ორჰომოტოპისჯგუფიანი სივრცე [116].

ჰონშილდის კოჯაქტებში შეყვანილი ჰომოტოპიური G-ალგებრის სტრუქტურის მეშვეობით აგებულია წინააღმდეგობის თეორია $A(\infty)$ -სტრუქტურის გადაგვარებულობისათვის [60].

მარყუჟთა სივრცისთვის აგებულია ჰომოფის მოდელები ასოციატიური სტინროდის 1-ნამრავლით და მოცემულია მისი ზოგიერთი გამოყენება [200].

გამოთვლილია მორავას K-თეორია დიედრალური, სემიდიედრალური და კვატერნიონული ჯგუფებისთვის [108].

პროექტი № 1.3.04 – სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანების ამონახსნთა თვისებები და ასიმპტოტიკა უწყვეტი გარემოს ზოგიერთი მოდელისათვის

შესწავლილია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები კონუსური განსაკუთრებულობის მქონე არეები-სათვის. ფსევდოდოფერენციალურ ოპერატორთა ტექნიკის გამოყენებით მიღებულია ფრედჰოლმურობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. დადგენილია კონუსის წვეროს მახლობლობაში ამონახსნთა ასიმპტოტიკა [160,161].

პოტენციალისა და ვარიაციული უტოლობების მეთოდების გამოყენებით გამოკვლეულია მეტალის და პიზოკერამიკული სხეულების მექანიკური და თერმული ურთიერთქმედების სამგანზომილებიანი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა. დამტკიცებულია ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და რეგულარობის თეორემები სობოლევის, ბესოვისა და ბესელის პოტენციალთა სივრცეებში [124,125].

ვარიაციულ უტოლობაზე მიყვანის მეთოდის გამოყენებით შესწავლილი იქნა მომენტური დრეკადობის თეორიის სტატიკის შიდა და გარე სასაზღვრო ამოცანები, როდესაც დრეკადი სხეულის გარკვეულ ნაწილზე ან მთელ საზღვარზე გათვალისწინებულია ხახუნის ეფექტი [144].

პროექტი № 1.4.04 – არაწრფივი დინამიკისა და არატრივიალური ძირითადი მდგომარეობის პრობლემები ველის კვანტურ თეორიაში

განვითარებულია ორი შრისაგან შემდგარი ჰოლის კვანტური სისტემის აღწერის ფორმალიზმი. ამ ფორმალიზმის მეშვეობით შესწავლილია სკირმიონული ტიპის ელემენტარული აგზნებების საკითხი $\nu=1$ შემთხვევაში. თეორიული შედეგები კარგად ემთხვევა ექსპერიმენტულ მონაცემებს დიდი ზომის სკირმიონების შემთხვევაში. მცირე ზომის სკირმიონების საკითხი განხილულია კინემატიკის დონეზე. ნაჩვენებია, რომ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს არაკომუტაციურ ეფექტებს, რაც ცალკე განხილვის საგანია [39].

გამოკვლეულია რენტომ-ჯგუფის განტოლების მათემატიკური ასპექტები შეშფოთების თეორიის მაღალ რიგებში კვანტურ ქრომოდინამიკაში [186]. დადგენილია, რომ მუსტის ანალიზური თვისებები არსებითად დამოკიდებულია კვარკების არომატების რიცხვზე. ნაჩვენებია, რომ არომატების რიცხვის მნიშვნელობის მიხედვით თეორია შეიძლება აღწერდეს ორ განსხვავებულ ფაზას, თუმცა ამ ორივე ფაზაში თეორია ასიმპტოტურად თავისუფალია.

პროექტი № 1.5.04 – ჰომოლოგიური ალგებრის და ალგებრული K -თეორიის ზოგიერთი საკითხი

შემოტანილი და შესწავლილია მულტიპლიკაციური ლის ალგებრების ჰომოლოგიის თეორიები; გამოკვლეულია მულტიპლიკაციური ლის ალგებრების უნივერსალური ცენტრალური გაფართოებების თეორია. შემოტანილია ფრჩხილებიანი ალგებრის ცნება, რომელიც აზოგადებს პუასონის ალგებრის ცნებას; ასეთი ალგებრებისათვის აგებულია თავისუფალი ალგებრები და კუილენის კოჰომოლოგიები. დამტკიცებულია, რომ სასრულწარმოქმნილიანი ერთთანაფარდობიანი ლის p -ალგებრების კოჰომოლოგიები არის ციკლური; ასეთი ლის p -ალგებრების უნივერსალური მომვლებისათვის დამტკიცებულია თეორემები ამონხნადობის, თავისუფლების და გრიობნერ-ბირშოვის ბაზისების შესახებ. შესწავლილია კატეგორიაში დაწვევის და კოდაწვევის მორფიზმების ეფექტურობა. მოცემულია სქემების იმ კვანძოკომპაქტური მორფიზმების დახასიათება, რომლებიც არის ეფექტური დაწვევის; დამტკიცებულია, რომ ნებისმიერ სრულ მესერებზე გამდიდრებული სეპარაბელური კატეგორია არის მორიტა ექვივალენტური სეპარაბელური მონოიდის. გრძელდება მუშაობა მაღალი რიგის კატეგორიაში მაღალი რიგის სუსტ შეუღლებაზე, მაღალი რიგის სუსტი კატეგორიის აქსიომატიზაციაზე და სუსტ უნივერსალურ კონსტრუქციებზე. დამტკიცებულია მაგნუს-ვიტის თეორემის არააბელური ვერსია მე-4 განზომილებაში.

პროექტი № 1.6.04 – სასაზღვრო ამოცანები უსასრულო შუალედში და მათი გამოყენება არაავტონომიურ დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში

მეორე რიგის არაწრფივი სინგულარული დიფერენციალური განტოლებებისათვის ნაპოვნია ოპტიმალური პირობები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფენ კნეზერის ამოცანისა და უსასრულობაში პირობებიანი ამოცანის ექსტრემალური ამონახსნების (ანუ ზედა და ქვედა ამონახსნების) არსებობას [83,84].

მეორე რიგის წრფივი და არაწრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის ნაპოვნია პერიოდული და ორწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანების ცალსახად ამონხნადობისა და ამონხნადობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები [194-197].

ემდენ-ფაულერის ტიპის განზოგადოებული (ცვლადი ხარისხის მაჩვენებლით) ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებისათვის მიღებულია A და B თვისებებისათვის საკმარისი პირობები, ჩამოყალი-

ბებულო კოეფიციენტისა და ხარისხის მანვენებლის გარკვეული კომბინაციების ქვედა ზღვრების ტერ-
მინებში. მიღებული პირობები გარკვეული აზრით გაუუმჯობესებადია [149,179,180].

პროექტი № 1.7.04 – მრავალგანზომილებიანი ფურიეს ანალიზი, ბანახის ფუნქციური სივრცეები
ცვალებადი მანვენებლებით და სასაზღვრო ამოცანები

დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობა ზომაზე, რომელიც უზრუნველყოფს ზომის მი-
მართ ალბულო პოტენციალის შემოსაზღვრულობას წონიან ლებეგის სივრცეებში. განზოგადებულია
სტეინ-გეისის თეორემა არაერთგვაროვანი სივრცეებისათვის [63,177].

ლებეგის წონიან სივრცეებში დადგენილია ჯერადი ცალმხრივი პოტენციალების შემოსაზღვრულო-
ბის აუცილებელი და საკმარისი პირობები [33,176].

დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობა წონათა წყვილზე, რომლისთვისაც ერთზე მეტი
ან ტოლი ჯერადი რიჰან-ლიუვილის გარდაქმნა შემოსაზღვრულია ერთი წონიანი სივრციდან მეორეში
[176,193].

დადგენილია კვატერნიონული არგუმენტის კვატერნიონული ფუნქციის C^2 -დიფერენცირებადობის
აუცილებელი და საკმარისი პირობა [33].

დამტკიცებულია ერთგვაროვან სივრცეზე განსაზღვრული მაქსიმალური ფუნქციის შემოსაზღვრუ-
ლობა ცვლადმანვენებლიან ლებეგის სივრცეებში [63,64].

კარლესონის წირებზე განსაზღვრული სუსტი სინგულარული ინტეგრალისათვის დამტკიცებულია
სობოლევის ტიპის თეორემა ცვლადმანვენებლიან ლებეგის სივრცეებში [87,88].

შესწავლილია წრფივი შეუღლების ამოცანა უწყვეტი და უბან-უბან უწყვეტი კოეფიციენტების
შემთხვევაში, როდესაც ამონახსნი იძებნება კომის ტიპის ინტეგრალით წარმოდგენად ისეთ ფუნქ-
ციათა კლასში, რომელთა სიმკვრივე ცვლადმანვენებლიან ლებეგის სივრციდანაა [173,174].

გამოვლენილია უბან-უბან ლიაპუნოვის წირებით შემოსაზღვრული ისეთი არეები, რომელშიც ჰარ-
მონიულ ფუნქციათა სპირნოვის ტიპის კლასებში ზარემბას შერეული სასაზღვრო ამოცანისათვის
გვაქვს ამონხნადობის ისეთივე სურათი, როგორც ლიაპუნოვის საზღვრის შემთხვევაში [73].

შესწავლილია წრფივი შეუღლების სასაზღვრო ამოცანა კარლესონის ტიპის განხილვი რკალისა-
თვის. ერთგვაროვანი განტოლებისათვის უწყვეტი კოეფიციენტის შემთხვევაში ყოველგვარი დამატე-
ბითი პირობების გარეშე იგება ფუნდამენტური ამონახსნები. მიღებული ინდექსის ფორმულა შეიცავს
ბოლოებში წირის ბრუნვის დამახასიათებელ მუდმივებს [48].

ჰარმონიულ ფუნქციათა გარკვეული კლასისათვის განხილულია დახრილწარმოებულებიანი სასაზღვ-
რო ამოცანა იმ შემთხვევაში, როცა მიმართულების განმსაზღვრელი ფუნქცია წარმოადგენს უბან-უბან
გლუვ ფუნქციას. დადგენილია ამონხნადობის პირობები და მიღებულია ამონახსნთა ფორმულები [199].

პროექტი № 1.8.04 – ლოკალური და არალოკალური ამოცანები ჰიპერბოლური განტოლებებისა და
სისტემებისათვის

გამოკვლეულია არალოკალური ამოცანა პარაბოლური გადაგვარების მქონე კვაზიწრფივი განტო-
ლებების კლასებისათვის, რომელთაც წერტილთა გარკვეულ სიმრავლეზე უგვარდებათ რიგიც. დად-
გენილია კორექტულობა ამოცანებისა, რომელთა პირობების მზიდი მახასიათებლებიც არ შედიან ამო-
ნახსნის განსაზღვრის არეში [50].

მეორე რიგის წრფივი ჰიპერბოლური სისტემისათვის ორი დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში
გამოკვლეულია ზოგიერთი არალოკალური ამოცანა [121].

მესამე რიგის დომინირებული უმცროსწევრებიანი წრფივი ჰიპერბოლური განტოლებებისათვის
შესწავლილია გურსას ზოგადი სამგანზომილებიანი მახასიათებელი ამოცანა. დადგენილია მისი კო-
რექტულობის საკმარისი პირობები, რომელთა დარღვევისას შესწავლილია როგორც განტოლებებში,
ასევე სასაზღვრო პირობებში მონაწილე დაბალი რიგის წევრების ზემოქმედების ეფექტი. ზოგადი სა-
ხის წრფივი ვოლტერას პირველი გვარის ორგანზომილებიანი ინტეგრალური განტოლებები, რომლე-
ბიც გარკვეული აზრით დაკავშირებული არიან განსახილველ ამოცანასთან, გამოკვლეულია ორი გან-
სხვავებული მეთოდით [155].

პროექტი № 1.9.04 – ბლური მაქსველისა და დირაკის განტოლებები კლიფორდის ანალიზში

შესწავლილია მაღალი რიგის კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები კლიფორ-
დის ანალიზში.

პროექტი № 1.10.04 – პირდაპირი და შექცეული სტოქასტური დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენება ალბათურ-სტატისტიკურ მოდელირებაში

განხილულია ბაიესურ-მარტინგალური მიდგომა რეჟიმის დარღვევის მომენტის აღმოჩენის ზოგად ამოცანაში. განხილულ დასმაში რეჟიმის დარღვევის მომენტი წარმოადგენს რაიმე სტოქასტურ ბაზისზე მოცემული ორი ზომის ბიფურკაციის შემთხვევით მომენტს. გამოყვანილია შექცეული არეკლილი სტოქასტური განტოლება დასმული ამოცანის შესაბამისი ოპტიმალური გაჩერების ამოცანის ფასისათვის. ნაჩვენებია, რომ ვინერისა და პუასონის პროცესების დარღვევის კლასიკურ ამოცანებში ეს განტოლება ექვივალენტურია თავისუფალ საზღვრიანი ამოცანისა პარაბოლური დიფერენციალური ოპერატორისათვის და დიფერენციალურ სხვაობითი ოპერატორისათვის შესაბამისად [162,163].

პროექტი № 1.11.04 – კონფიგურაციული სივრცეების გეომეტრია და ტოპოლოგია

მიღებულია კრიტიკიუმი, თუ როდის შეიძლება განხორციელდეს სასურველი წრფივი სისტემა მოცემული წრფივი სისტემიდან უკუკავშირის მეშვეობით [184].

სიგნალების სივრცე წარმოდგენილია როგორც მოდული საკუთრივი რაციონალური ფუნქციების რგოლზე, და ამ სტრუქტურის მეშვეობით მიღებულია წრფივი დინამიური სისტემების აქსიომატური აღწერა [185].

მიღებულია მარტივი ლის ალგებრების კარგ გრადუირებათა კლასიფიკაცია [135].

შესწავლილია შრედინგერის განტოლების მართვადობის საკითხი და დამტკიცებულია მართვადობა რამდენიმე კონკრეტული პოტენციალისთვის. ანალოგიური შედეგები მიღებულია დიფერენციალური განტოლებებისთვის მარყუჯთა ჯგუფებზე [166,167].

პროექტი № 1.12.04 – პროექციული და სასრულ-სხვაობიანი მეთოდების მდგრადობა და კრებადობა სინგულარული ინტეგრალური განტოლებებისა და ელიფსური სასაზღვრო ამოცანებისათვის

დადგენილია პროექციულ-იტერაციული მეთოდის მდგრადობა ერთი კლასის სინგულარულ-ინტეგრალური განტოლებებისათვის [133].

მუდმივკოეფიციენტებიანი სამგანზომილებიანი კონვექცია-დიფუზიის განტოლებებისათვის განხილულია დირიხლეს სასაზღვრო ამოცანა 19-წერტილიან შაბლონზე. აგებულია მაღალი რიგის სიზუსტის სხვაობიანი სქემა. დადგენილია ზუსტი ამონახსნის სიგლუვესთან შეთანხმებული კრებადობის სინქარის შეფასებები [118].

პროექტი № 1.13.04 – თანამგზავრ-ვიროსტატის ფარდობითი წონასწორობანი და უკუმშვად სითხეთა დინების მდგრადობის არაწრფივი ამოცანები

შედგენილია თანამგზავრ-ვიროსტატის მოძრაობის განტოლებები, როცა ვიროსტატი მოთავსებულია ლიბრაციის წერტილში. მონახულია მისი ფარდობითი წონასწორობის განტოლებები. უკუმში სითხის დინების მდგრადობის ამოცანისათვის დადგენილია ტრანსვერსალური გრადიენტის გავლენა ორ მბრუნავ ფოროვან ცილინდრს შორის სითხის დინების არამდგრადობის საფუძველზე წარმოქმნილი მეორადი დინებების ბიფურკაციებზე.

პროექტი № 1.14.04 – “საქართველოს მათემატიკური ჟურნალის” და ჟურნალ “მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში” სარედაქციო სამუშაოები და ორიგინალ-მაკეტების მომზადება

2004 წელს გამოვიდა “საქართველოს მათემატიკური ჟურნალის” 4 ნომერი. გამოვიდა ჟურნალის “მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში” სამი ტომი: 31-ე, 32-ე და 33-ე.

1.3. საზღვარგარეთული გრანტებით შესრულებული სამუშაოები

დამტკიცებულია, რომ თუ დადებითი ფუნქცია არ ეკუთვნის ზიგმუნდის კლასს, მაშინ მისი ერგოდული ჰილბერტის გარდაქმნა არაინტეგრებადია. მიღებულია წონიანი ერგოდული მაქსიმალური ტოლობა არასინგულარული ნაკადებისათვის (CNR – NATO Grant No. 217.35 S – ლ. ეფრემიძე).

დადგენილია ორწონიანი უტოლობები ოსცილატორული სინგულარული ინტეგრალისათვის. შესწავლილია ამ ინტეგრალის მეტრული თვისებები (2 years Postdoc Fellowship of the "Scuola Normale Superiore" of Pisa, Italy – ა. მესხი).

დამტკიცებულ იქნა ზოგადი დებულებები (აბრიორული შემოსაზღვრულობის პრინციპი და კონტი-
ობიალის ტიპის თეორემა) ბანახის სივრცეში ოპერატორული განტოლების ამოხსნადობის შესახებ,
რომელთაგან კონუსთა თეორიის გამოყენებით მიღებულ იქნა სხეებზე განტოლების ამოხსნადობის
ეფექტური საკმარისი პირობები [81]. მეორე რიგის ძლიერად სინგულარული ფუნქციონალურ-დიფე-
რენციალური განტოლებებისათვის (კერძოდ, გადახრილარგუმენტებიანი განტოლებებისათვის) დამ-
ტკიცებულ იქნა ზოგადი დებულება (აბრიორული შემოსაზღვრულობის პრინციპი) ორწერტილოვანი
ამოცანების ამოხსნადობის შესახებ და ნაპოვნი იქნა გარკვეული აზრით არაგაუმჯობესებადი ეფექტუ-
რი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული ამოცანების ცალსახად ამოხსნადობასა და კო-
რექტულობას [172] (GRDF Grant No. 3318: “Singular boundary value problems for ordinary differential
equations and for partial differential equations of hyperbolic type” – ი. კილურაძე, ს. მუსხივლაშვილი,
ნ. ფარცვანია).

ზოგიერთი მეორე რიგის არაწრფივი მრავალგანზომილებიანი ჰიპერბოლური განტოლებისათვის
განხილული და შესწავლილია კოშის მახასიათებელი ამოცანის გლობალური ამონახსნის არარსებო-
ბის საკითხი კონუსურ არეში [164,165] (INTAS Grant No. 03-51-5007: “Nonlinear evolution equations.
Blow-up phenomena. Stability and instability” – ი. კილურაძე, ჯ. გვაზავა, ნ. ფარცვანია, ს. ხარიბეა-
შვილი).

გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოიპოვეს შემდეგი გრანტები:

Research Grant of the Government of Italy: “Modelli Matematici e Numerici per le Applicazioni” (რ.
დუდუჩავა, თ. ბუჩუკური, დ. კაპანაძე)

Matsumae International Fellowship, Okayama University, Japan (ლ. ეფრემიძე)

INTAS Young Scientists Post Doctoral Fellowship No. 03-55-1592 (დ. კაპანაძე)

INTAS Young Scientists Post Doctoral Fellowship No. 03-55-1699 (ა. გაჩეჩილაძე)

INTAS Young Scientists Post Doctoral Fellowship No. 03-55-0684: “Non-abelian and mod q (co)homology
of algebraic structures” (ე. ხმალაძე)

INTAS Grant No. 00-566: “Algebraic K-theory, groups and algebraic homotopy theory” (ს. ინასარიძე,
გ. დონაძე, ნ. ინასარიძე, თ. კანდელაკი, ა. ბაჭყალია, ე. ხმალაძე)

INTAS Grant No. 03-51-3251: “Simplicial algebra, homology theories, K-theory and homotopy theory”
(ს. ინასარიძე, მ. ბაკურაძე, ნ. ინასარიძე, თ. კანდელაკი, ე. ხმალაძე)

INTAS Grant No. 00-00561: “Integrability in statistical physics and quantum field theory” (გ. ჯორჯაძე
(PI), მ. ელიაშვილი, გ. ლავრელაშვილი, ა. ხვედელიძე, გ. ჭავჭავაძე)

Grant of DFG, German-Georgian cooperation project No. 436 GEO 113/8/0-1: “Piezoelectricity in
composites - investigation on piezoelectric stack actuators” (თ. ბუჩუკური, თ. ჭკადუა)

DFG (გრანტი გერმანიიდან) მ თვიანი თანამშრომლობა ინტეგრებად სისტემებში (გ. ჯორჯაძე)

RFBR (გრანტი რუსეთიდან) თანამშრომლობა ინტეგრებად სისტემებში (გ. ჯორჯაძე)

GRDF Grant No. 3303: “Applications of topology and universal algebra to modal logic” (ლ. ესაკია, დ.
პატარაია, მ. ვიბლაძე)

GRDF Grant No. 3316: “Mass constraints from gravitational lensing” (გ. ლავრელაშვილი)

GRDF Grant No. GEM1-3330-TB-03: “K-theory, homotopical algebra and homology theories” (ს.
ინასარიძე, მ. ბაკურაძე, ნ. ინასარიძე, თ. კანდელაკი)

GRDF Grant No. GEP2-3329-TB-03: “Gauge invariant currents in the light front dynamics” (ა. კვინიში-
ძე, ბ. მაღრაძე)

GRDF Travel Fellowship Grant No. GTFP-06: “(Co)homology Theories and Derived Functors” (ს.
ინასარიძე)

Grant of RTN Network HPRN-CT-2002-00287: “Algebraic K-theory, linear algebraic groups and related
structures” (თ. ფირაშვილი)

4ECM (Fourth European Congress of Mathematics) Grant of type ABC3 – Stockholm, Sweden, June 27 -
July 2, 2004 (ს. ინასარიძე, ნ. ფარცვანია)

2. 2004 წელს ჩატარებული კონფერენციებისა და თათბირების შესახებ (იხ. დანართი 1)
3. 2004 წლის საგამომცემლო საქმიანობა (იხ. დანართი 2)
4. თანამშრომელთა მიერ 2004 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა (მონოგრაფია, წიგნი, კრებული) სია (იხ. დანართი 3)
5. 2004 წელს გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული შრომები (იხ. დანართი 4)
6. 2004 წელს სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული მოხსენებების თეზისები (იხ. დანართი 5)
7. საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა (იხ. დანართი 6)

8. ინსტიტუტის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე განიხილებოდა სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხები. ჩატარდა ასპირანტებისა და მაძიებლების ყოველწლიური ატესტაცია.

ინსტიტუტთან არსებულ სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სპეციალიზირებულ საბჭოზე (სადისერტაციო საბჭო Ph.M.01.01 №1) დაცულ იქნა ერთი საკანდიდატო დისერტაცია.

ინსტიტუტში მუშაობდა 10 სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო სემინარი.

2004 წელს ასპირანტურიდან ამოირიცხა ერთი ასპირანტი (გ. ბალათურია), გაირიცხა ორი ასპირანტი (დ. გაშაკაშვილი და გ. კინწურაშვილი); საკანდიდატო დისერტაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით ასპირანტურა ვადაზე ადრე დაამთავრა ერთმა ასპირანტმა (გ. ჭავჭავანიძე). 2004 წელს ასპირანტურაში ჩაირიცხნენ შ. მელაძე და ზ. ჯანელიძე.

საანგარიშო პერიოდში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ინსტიტუტის თანამშრომელმა გ. ბერიკელაშვილმა, ხოლო საკანდიდატო – ინსტიტუტის თანამშრომელმა გ. ჭავჭავანიძემ და ინსტიტუტის მაძიებელმა ნ. მანჯავიძემ.

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტის ბიბლიოთეკა შეივსო 318 ბეჭდვითი ერთეულით (276 ჟურნალი და 42 წიგნი). 2004 წლის 31 დეკემბრისათვის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდში არის 94477 ბეჭდვითი ერთეული, აქედან 63698 ჟურნალი და 30779 წიგნი.

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ნ. ფარცვანია

2004 წელს ჩატარებული კონფერენციებისა და თათბირების შესახებ

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

| № | ღონისძიების დასახელება | მონაწილეთა რაოდენობა | | ჩატარების დრო (თვე, რიცხვი) | შენიშვნა |
|----|--|----------------------|----------------------------|-----------------------------|--|
| | | სულ | მათ შორის უცხო ქვეყნებიდან | | |
| 1. | აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია “ტობოლოგურ სივრცეთა და ფიბრაციათა ალგებრული მოდელები” | 40 | 10 | სექტემბერი, 13-18 | ჩატარდა ISPM-ის (ფიზიკისა და მათემატიკის საერთაშორისო სკოლა) პროგრამით |

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2004 წლის
საგამომცემლო საქმიანობა

| № | ჟურნალის დასახელება | რედაქტორი | გამომცემლობა, გამომცემლობის ადგილი |
|----|---|----------------|---------------------------------------|
| 1. | Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 134 (ინგლისურ ენაზე) | ვ. კოკილაშვილი | გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი |
| 2. | Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 135 (ინგლისურ ენაზე) | ვ. კოკილაშვილი | გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი |
| 3. | Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 136 (ინგლისურ ენაზე) | ვ. კოკილაშვილი | გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი |

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ
2004 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია

| № | ნაშრომის დასახელება (მონოგრაფია, წიგნი, კრებული) | ავტორი | გამომცემლობა, გამომცემლობის ადგილი |
|----|---|--|---|
| 1. | “რაციონალური წარმოდგენები, სტინროდის ალგებრა და ფუნქტორთა ჰომოლოგია” (ინგლისურ ენაზე) | გ. ფრანჟუ, ე. ფრიდლენ- დერი, თ. ფირაშვილი და ლ. შვარცი | გამომცემლობა “S. M. F. Panoramas et Synthèses”, პარიზი |
| 2. | “ზოგიერთი ახალი შედეგი მრავალი ნამდვილი ცვლადის ფუნქციითა უწყვეტობისა და დიფერენცირებადობის შესახებ” (ინგლისურ ენაზე) | თ. ძაგნიძე | “Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 134, გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი |

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

2004 წელს გამოქვეყნებული შრომების სია

(i) მონოგრაფიები

1. O. Dzagnidze, Some new results on the continuity and differentiability of functions of several real variables. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **134** (2004), 1-138.
2. V. Franjou, E. M. Friedlander, T. Pirashvili, and L. Schwartz, Rational representations, the Steenrod algebra and functor homology. *S. M. F. Panoramas et Synthèses*, 16. Paris, 2004.

(ii) სამეცნიერო სტატიები

3. R. Agarwal and I. Kiguradze, On multi-point boundary value problems for linear ordinary differential equations with singularities. *J. Math. Anal. Appl.* **297** (2004), 131-151.
4. T. Aliashvili and G. Khimshiashvili, Integrable systems and intersections of quadrics. *Proc. Inst. Cybernetics Georgian Acad. Sci.* **3** (2004), No.1-2, 63-72.
5. J. Baacke and G. Lavrelashvili, One-loop corrections to the metastable vacuum decay. *Phys. Rev.* **D69** (2004), 025009; [arXiv:hep-th/0307202].
6. M. Bakuradze and S. Priddy, Transferred Chern classes in Morava K -theory. *Proc. Amer. Math. Soc.* **132** (2004), No. 6, 1855-1860 (electronic).
7. R. Bantsuri, On a cut of a piecewise-homogeneous orthotropic plane. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **135** (2004), 41-47.
8. H.-J. Baues and M. Jibladze, The Steenrod algebra and theories associated to Hopf algebras. Homotopy theory. *Appl. Categ. Structures* **12** (2004), No. 1, 109-126.
9. N. Berikashvili and M. Mikiashvili, The predifferential of a path fibration. *Georgian Math. J.* **11** (2004), No. 3, 415-424.
10. N. Bezhanishvili, Varieties of two-dimensional cylindric algebras, II. *Algebra Universalis* **51** (2004), No. 2-3, 177-206.
11. N. Bezhanishvili, De Jongh's characterization of intuitionistic propositional calculus. *Festschrift for Dick de Jongh, University of Amsterdam*, 2004.
12. N. Bezhanishvili and B. ten Cate, Transfer results for hybrid logic. Part I: the case without satisfaction operators. *ILLC, University of Amsterdam*, PP-2004-06.
13. N. Bezhanishvili, B. ten Cate, M. Marx, and P. Viana, Sahlqvist theory and transfer results for hybrid logic. *Proceedings of Advances in Modal Logic, Manchester*, 2004, 44-62.
14. G. Bezhanishvili, L. Esakia, and D. Gabelaia, Modal logic of submaximal and Nodec spaces. *Festschrift for Dick de Jongh, University of Amsterdam*, 2004, 1-13.
15. N. Bezhanishvili and I. Hodkinson, All normal extensions of $S5$ -squared are finitely axiomatizable. *Studia Logica* **78** (2004), 443-457.
16. B. Blankleider and A. N. Kvinikhidze, Equivalence of light front and conventional thermal field theory. *Phys. Rev.* **D 69** (2004), 125005.
17. B. Blankleider and A. N. Kvinikhidze, Comment on light front Schwinger model at finite temperature. *Phys. Rev.* **D 69** (2004), 128701.
18. B. Bojarski and G. Khimshiashvili, The geometry of Fredholm pairs and linear conjugation problems. *Mem. Differential Equations Math. Physics* **33** (2004), 25-45.
19. D. Bourn and G. Janelidze, Extensions with Abelian kernels in protomodular categories. *Georgian Math. J.* **11** (2004), No. 4, 645-654.
20. P. Breitenlohner, D. Maison, and G. Lavrelashvili, Non-Abelian gravitating solitons with negative cosmological constant. *Class. Quant. Grav.* **21** (2004), 1667; [arXiv:gr-qc/0307029].
21. B. Broda, G. Duniec, and G. Khimshiashvili, The non-Abelian Stokes theorem in low dimensions. *Mem. Differential Equations Math. Phys.* **31** (2004), 5-14.

22. R. Brown and G. Janelidze, Galois theory and a new homotopy double groupoid of a map of spaces. *Homotopy theory. Appl. Categ. Structures* **12** (2004), No. 1, 63-80.
23. W. Bruns and J. Gubeladze, Polytopes and K -theory. *Georgian Math. J.* **11** (2004), No. 4, 655-670.
24. T. Buchukuri, O. Chkadua, and R. Duduchava, Crack-type boundary value problems of electroelasticity. *Operator Theoretical Methods and Applications to Mathematical Physics. The Erhard Meister Memorial Volume, Operator Theory: Advances and Applications*, Vol. 147, Birkhuser, Basel, 2004, 189-212.
25. M. Bunge, J. Funk, M. Jibladze, and T. Streicher, Definable completeness. *Cahiers de Topologie et Géométrie Différentielle Catégoriques* **XLV-4** (2004), 243-266.
26. J. M. Casas, M. Ladra, and T. Pirashvili, Crossed modules for Lie-Rinehart algebras. *J. Algebra* **274** (2004), No. 1, 192-201.
27. L. P. Castro, R. Duduchava, and F.-O. Speck, Localization and minimal normalization of mixed boundary value problem. *Factorization, Singular Operators and Related Problems, Proceedings of the Conference in Honour of Professor Georgii Litvinchuk at Funchal, Portugal, 2002*, 73-100, Kluwer, Dordrecht, 2004.
28. G. Chavchanidze, Non-Noether symmetries in integrable models. *J. Phys. A: Math. Gen.* **37** (2004), 2253-2260, math-ph/0307018.
29. M. M. Clementino, G. Janelidze, and D. Hofmann, Local homeomorphisms via ultrafilter convergence. *Proc. Amer. Math. Soc.* **133** (2004), No. 3, 917-922.
